**2019 წლის მე- IV კვარტლის ანგარიში**
**დირექტორი გიორგი კოხრეიძე**

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

## აჭარის ტელევიზია და რადიო

# 2019 წლის IV

# კვარტლის ანგარიში

ბათუმი

# სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს"-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა"-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

## შესავალი

წარმოგიდგენთ 2019 წლის მეოთხე კვარტლის (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;

- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიაზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

## ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2019 წლის მეოთხე კვარტლის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება და ახალი სეზონისთვის მზადება, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და დამტკიცება, ახალი წლის ეთერისთვის მზადება, შეფუთვის ცვლილება.

ამოცანები:

- აუდიტორიის შენარჩუნება და შემდგომში გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა, ყოველდღიური რეიტინგების, უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე;
- ბიუჯეტის დოკუმენტზე მუშაობა და მიღება;
- ორი დოკუმენტური ფილმის დამზადება;
- პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/ გათვალისწინება;
- საახალწლო მოკლე არტების დამზადება, განთავსება;
- საახალწლო კონცერტის ჩაწერის/ტრანსლირების ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- ექსკლუზიური და სიღრმისეული მასალების მომზადება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, პროფესიული სტანდარტის დაცვით;
- ღირებულებებზე დაფუძნებული ერთიანი გუნდის შექმნა;
- ტელევიზიის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- მაუწყებლის ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;
- ტელე-რადიო ოქროს ფონდის გამოყენება პროგრამათაშორისების მოსამზადებლად.

## კვარტლის მიღწევა

**ინტერნეტი-შედეგები:**

2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, 2019 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებგვერდის მომხმარებელთა დინამიკა მცირედით გაიზარდა.

გუგლ ანალიტიკის მიხედვით (იხ სქრინი ქვემოთ), ბოლო სამ თვეში, 07 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ვებ-გვერდზე **654,867** მომხმარებელი შემოვიდა, რომელიც სხვა დროსაც შემოსულა საიტზე (გასულ კვარტალში ასეთი 630,806 იყო).

პირველად შემოსული მომხმარებლის რაოდენობა, მეოთხე კვარტლის მონაცემებით იყო **539,051** (გასული კვარტალი 515,548 ).

პოსტების დადების სტატისტიკის მიხედვით, მე-12 ადგილს ვიკავებთ. დღეში ფბ გვერდზე საშუალოდ 48 პოსტი იტვირთება.

**ტელევიზია-შედეგები:**

ახალი ამბების სამსახურის მიმართ ნდობა და იმიჯი გაძლიერდა.

საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბების სამსახურს მოუხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის: მრჩეველთა საბჭოს წევრების, მაუწყებლის დირექტორის არჩევნების, თბილისსა და ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციების გაშუქება, მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის სატელევიზიო დებატების და

პირდაპირი ჩართვების ორგანიზება. ამავე პერიოდში მოიმატა ახალი ამბების აუდიტორიამ, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე სოციალურ ქსელში.

საახალწლოდ არხი შეიფუთა. შემოქმედებითმა ჯგუფებმა საახალწლო თემატიკით ჩაწერეს გადაცემები და საახალწლო მილოცვები, ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად, რის შედეგადაც დამზადდა საახალწლო 2 სთ-იანი გადაცემა.

დოკუმენტური კინოს მიმართულებით, მეოთხე კვარტალში მივიღეთ ერთი დოკუმენტური ფილმი, ოლღა ჟღენტის რეჟისურით.

პროექტ „მონო"-ს ფარგლებში გადაღებულ იქნა მომღერალ „პანჩოს" სოლო კონცერტი, ექსკლუზიურად აჭარის ტელევიზიისთვის.

**რადიო-შედეგები:**

ჩაიწერა, შეიფუთა და განახლდა რადიო აჭარის საახალწლო მილოცვები და ტიხრები; შეიცვალა რადიოს შენობის ფასადზე განთავსებული ბილბორდები;

## კვარტლის გამოწვევა

- რეგიონული ბიუროების გაძლიერება;
- რეპორტაჟების ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ახალი ამბების, ასევე ანალიტიკური მიმართულებით;
- ტექნიკური პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
- შემოქმედებითი გადაცემების გუნდის გაძლიერება;
- ანონსების და პრომოების სისტემის გამართვა;
- ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან.

## „პროგრამა=პრიოტიტეტს"-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

### ტელევიზია-შედეგები და საჭიროებები;

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია მაყურებლის ქცევას უკვე წლებია შპს „ტრი მედია ინტელიჯენს"-ის სარეიტინგო პროგრამის საშუალებით ახორციელებს. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები რელევანტურია შესადარისობის თვალსაზრისით, რადგანაც მოიცავს ერთი და იმავე საკვლევი ბაზის მონაცემებს.

ანგარიშში წარმოდგენილი იქნება მაყურებლის ქცევის რამდენიმე მიმართულება, მათ შორის:

1. 2016-2019 წლების მე-4 კვარტლების მიხედვით და 2019 წლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლების მიხედვით სხვადასხვა სარეიტინგო პოზიციები, კერძოდ:
   ა. არხის პოზიცია,
   ბ. მაყურებლის საშუალო რაოდენობა (rtg(000)),
   გ. Share (წილი ჩართულ ტელევიზორებში),
   დ. Reach (მოსახლეობის %-ის წვდომა არხზე მინიმუმ 1 წუთის ოდენობით),
   ე. მაყურებლის საშუალო ასაკი,
   ვ. მაქსიმალური ინდივიდუალური წერტილები.

2. 2019 წლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლებში, აჭარის ტელევიზიის ეთერში გასული გადაცემების ჟანრობრივი კვლევა, კერძოდ:
   ა. გასვლების რაოდენობა დინამიკაში,
   ბ. ჟანრების Share (წილი ჩართულ ტელევიზორებში) ცვლადი დინამიკაში.

3. 2019 წლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლებში აჭარის ტელევიზიის სეგმენტების კვლევა (მონაცემები გამოსახულია ცვლადში - **rtg(000) - მაყურებლის საშუალო რაოდენობა წუთში**), კერძოდ:

ა. სქესის მიხედვით,

ბ. ასაკის მიხედვით,

გ. ადგილმდებარეობის მიხედვით.

კვლევა მოიცავს არხის ზოგად მაჩვენებლებს, შესაბამისად, არ განიხილავს არცერთ სატელევიზიო გადაცემას ინდივიდუალურად.

**ზოგადი სარეიტინგო ცვლადები აჭარის ტელევიზიასთან მიმართებით**




4. აღნიშნულ გრაფიკში მოცემულია 2016-2019 წლების მეოთხე კვარტლები აჭარის ტელევიზიის პოზიციის, rtg(000) და Share - ცვლადების მიხედვით.

5. აჭარის ტელევიზია, 2016 წლის მეოთხე კვარტალში მე-8 პოზიციას იკავებდა სატელევიზიო ბაზარზე, 2017 წელს სიტუაცია გაუარესდა და მე-18 პოზიციაზე გადაინაცვლა. გაუმჯობესებული პოზიცია დაფიქსირდა (+4 ადგილი) 2018 წელს, ხოლო 2019 წელს არხმა სატელევიზიო ბაზარზე მეოთხე კვარტალში მე-12 პოზიცია

დააფიქსირა. მართალია, არხი 2016 წელთან შედარებით გაუარესებულ (-4 ადგილი) პოზიციას ფლობს, თუმცა დადებითი ტრენდი შეინიშნება 2017-2018 წლებთან შედარებით.

6. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ამავე გრაფიკზე წარმოდგენილი სხვა სარეიტინგო პოზიციებიც. მაგალითად, 2016 წლის მეოთხე კვარტალში არხის საშუალო მაყურებელი წუთში 2807 ადამიანს ითვლიდა, რაც 2017 წელს 50%ზე მეტით შემცირდა და 1320 ადამიანი შეადგინა. სიტუაცია გაუმჯობესდა 2018 წლის მეოთხე კვარტალში (რაც ასევე სატელევიზიო პოზიციის კვლევიდანაც ჩანს) და საშუალოდ წუთში აჭარის ტელევიზიას 1513 მაყურებელი ჰყავდა. დადებითი ტრენდი ნარჩუნდება 2019 წლის მეოთხე კვარტალთან მიმართებითაც და არხის მაყურებლის რაოდენობა გაზრდილია 453 ერთეულით და შეადგინა 1966 მაყურებელი საშუალოდ წუთში.

7. წინა ორ აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს ადასტურებს ამავე გრაფიკზე წარმოდგენილი მესამე ცვლადის შინაარსიც. 2016 წლის მეოთხე კვარტალში აჭარის ტელევიზიას აქტიური მაყურებლის 0,93% უყურებდა, შემცირება გვაქვს 2017 და 2018 წლების მეოთხე კვარტლებში და 0,47% და 0,53% შეადგინა შესაბამისად. დადებითი ტრენდი აქაც ნარჩუნდება 2019 წლის მეოთხე კვარტლის შემთხვევაშიც და აქტიური მაყურებლის 0,727% აფიქსირებს.

8. აღნიშნული სამი პოზიციის კვლევის მიხედვით, აჭარის ტელევიზიის მესამე კვარტლის მონაცემი გაუარესებულია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, თუმცა, გაზრდილია 2017-2018 წლების იმავე მაჩვენებლებთან.




აღნიშნულ გრაფიკში მოცემულია ორი სარეიტინგო ცვლადი: ა. Reach (მოცვა) - საკვლევი პერიოდის განმავლობაში აჭარის ტელევიზიაზე მინიმუმ 1 წუთით გაჩერებული მაყურებლის % საერთო მოსახლეობაში; ბ. საკვლევი პერიოდის განმავლობაში აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა საშუალო ასაკი.

ამ შემთხვევაში პირველი სარეიტინგო პოზიცია (როგორც სხვა ბევრი) მაქსიმალური იყო 2016 წლის მეოთხე კვარტალში და 83,88% შეადგინა. ამ შემთხვევაშიც სინქრონული (სხვა სარეიტინგო ცვლადებთან მიმართებით) კვლების ტენდენცია გვაქვს 2017 და 2018 წლების მეოთხე კვარტლებში. შესაბამისად, დაფიქსირდა 80,81% და 80,67%. უმნიშვნელო კლების ტემპი ფიქსირდება 2019 წლის მეოთხე კვარტალში, 0,4 პუნქტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ, მართალია, არ გაზრდილა აჭარის ტელევიზიის მოცვა მაყურებელთან მიმართებით 2017-დან 2019-მდე (მეოთხე კვარტლები), თუმცა გაზრდილია (იხ. გრაფიკი პირველი) მაყურებლის რაოდენობა, რაც ნიშნავს იმას, რომ აჭარის ტელევიზიას ამ პერიოდში ახალი მაყურებელი კი არ მოუზიდავს, არამედ ფაქტობრივად, იბრუნებს თავის ძველ მაყურებელს (აღნიშნული მოსაზრება ვერ მოიცავს მაყურებლის როტაციის გარემოებებს, რაც უფრო მოგვიანებით, სეგმენტების კვლევის დროს გამოჩნდება ნაწილობრივ).

ჯერჯერობით, ერთადერთი პუნქტი, სადაც არ გვაქვს ზრდის ტენდენცია - მაყურებლის საშუალო ასაკია. 2016 წლის მეოთხე კვარტალში, არხის მაყურებელთა საშუალო ასაკი 42 წელი იყო, 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელი - 46 წელი იყო, ანუ მაყურებელი „დაბერდა“ 3 წლით (სწორედ 2017 წლის ამ პერიოდში გვქონდა მაყურებლის კატასტროფული კლება, რამაც ბუნებრივად, გაზარდა საშუალო ასაკი). 2018 წლის მეოთხე კვარტალშიც არხის მაყურებლის საშუალო ასაკმა 46 წელი შეადგინა, ხოლო, 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 1 წლით გაუარესებაა და 47 წელს შეადგენს.

ჩვენი მოსაზრებით, აჭარის ტელევიზია მიმდინარე პერიოდში ძველი ლოიალური მაყურებლის დაბრუნების ფაზაშია (რაც არ გამორიცხავს ახალი მაყურებლის მოსვლის ფაქტორებსაც, რასაც უკვე სეგმენტების გაანალიზებისას დავინახავთ უკეთ).




2019 წლის ოთხი კვარტლის მონაცემების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის პოზიცია ბაზარზე გაუმჯობესდა 1 პუნქტით და მეოთხე კვარტალში მე-12 პოზიციაზე გადაინაცვლა.

იმავეს ადასტურებს მაყურებლის საშუალო რაოდენობაც და Share ცვლადიც.

აჭარის ტელევიზიის მაყურებელმა, 2019 წლის **პირველ კვარტალში,** საშუალოდ წუთში 1603 ერთეული შეადგინა, კლება გვქონდა **მეორე კვარტალში** და მაყურებლის რაოდენობა 1302 ერთეულამდე დაეცა, ხოლო 2019 წლის **მესამე კვარტალი** შესადარისად გაზრდილია წინა ორ კვარტალთან მიმართებით და 1708 ერთეულს აფიქსირებს, კვლავ

ზრდის ტენდეცია ნარჩუნდება და 2019 წლის მეოთხე კვარტალში აჭარის ტელევიზიას საშუალოდ წუთში 1966 მაყურებელი უყურებს.

აღნიშნული ფაქტორები ასახულია Share (ჩართულ ტელევიზორებში %) ცვლადშიც. თუ 2019 წლის **პირველ** და **მეორე კვარტალში** აჭარის ტელევიზიას აქტიური მაყურებლის 0,5% უყურებდა, **მესამე კვარტალში** ეს მონაცემი 0.2 პუნქტით არის გაზრდილი და 0,7%-ს შეადგენს. ფაქტობრივად ამდენივე ფიქსირდება 2019 წლის მეოთხე კვარტალშიც.




2019 წლის პირველიდან მესამე კვარტლამდე შემცირებულია არხზე წვდომა (reach). თუ პირველ კვარტალში ეს ცვლადი 83% იყო, მეორე კვარტალში შემცირდა თითქმის 04 %-ით, ხოლო მესამე კვარტალში კიდევ 2,4%-ით შემცირდა 76,8% შეადგინა. 2019 წლის მეოთხე კვარტალში, როგორც სხვა ბევრ ცვლადში, ზრდა ფიქსირდება წვდომის კომპონენტშიც და უბრუნდება მეორე კვარტლის ნიშნულს, დაახლოებით 80%-ს.

რაც შეეხება საშუალო ასაკს, ფაქტობრივად იდენტურია სამივე კვარტალში, მათ შორის მცირედი სხვაობაა.

## ჟანრების კვლევა




| | MOVIES | ENTERTAINMENT | BROADCASTING | COGNITIVE | INFORMATION | TALK SHOW | MUSIC | OTHER | SPORT | SERIAL |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I / 2019 | 674 | 48 | 6 | 751 | 797 | 436 | 25 | 91 | | |
| II / 2019 | 706 | 39 | 8 | 760 | 693 | 462 | 2 | 91 | 2 | |
| III / 2019 | 945 | 31 | 12 | 785 | 730 | 318 | 3 | 97 | 4 | 30 |
| IV / 2019 | 874 | 38 | 8 | 526 | 820 | 426 | 3 | 97 | 14 | 237 |

აღნიშნულ ჩარტზე მოცემულია ჟანრები თავისი გასვლების მიხედვით. რამდენიმე ხელშესახები ცვლილებაა გასვლების მიხედვით. მაგალითად, ფილმების ნაწილში, გასვლების რაოდენობა ფაქტობრივად გაზრდილაი 250 ერთეულით. თუ 2019 წლის პირველ კვარტალში 674 გასვლა ჰქონდა ამ ჟანრს, მესამე კვარტალში უკვე 945 ერთეულს აფიქსირებს, ხოლო მეოთხე კვარტალში 874 გასვლა ფიქსირდება. ამასთანავე, მეოთხე კვარტალში კოლოსალურად გაზრდილია სერიალების რაოდენობა 30-დან 237-მდე. ასევე 04-დან 14 (ერთი თამაში დაყოფილია 2 ტაიმად, ანუ 2 გასვლად ფიქსირდება) ერთეულამდე გაზრდილია სპორტული რეპორტაჟების რაოდენობა, რაც პირდაპირ

პროპორციული აღმოჩნდა არხის რეიტინგის ზრდისა. ამავე გრაფიკიდან ჩანს პირველ კვარტალთან შედარებით საინფორმაციო და თოქ-შოუს ჟანრების გადაცემების გასვლების მცირედი ცვლილება და ეს არ ასახულა ამ ჟანრების ყურებადობაზე ნეგატიურად, პირიქით, გაზრდილია შემეცნებითი გადაცემების გასვლების რაოდენობა, ხოლო რამდენიმე ერთეულით არის შემცირებული გასართობი გადაცემების რაოდენობა.




| | MOVIES | ENTERTAINMENT | BROADCASTING | COGNITIVE | INFORMATION | TALK SHOW | MUSIC | OTHER | SPORT | SERIAL |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I / 2019 | 0,8 | 0,6 | 0,6 | 0,5 | 0,5 | 0,3 | 0,3 | 0,2 | | |
| II / 2019 | 0,8 | 0,9 | 0,1 | 0,4 | 0,4 | 0,3 | 0,6 | 0,2 | 2 | |
| III / 2019 | 1 | 0,8 | 0,2 | 0,6 | 0,9 | 0,4 | 0,5 | 0,3 | 1,2 | 0,4 |
| IV / 2019 | 1,2 | 0,7 | 0,1 | 0,5 | 0,6 | 0,4 | 1,2 | 0,5 | 2,3 | 0,7 |

ამ ჩარტში წარმოდგენილია 2019 წლის კვარტლები ჟანრების ყურებადობის (share ცვლადი) მიხედვით. ყველაზე თვალნათლივი ზრდა ფიქსირდება საინფორმაციო ჟანრის გადაცემებში, სადაც პირველ კვარტალში 0,5% ფიქსირდებოდა, ხოლო უკვე მესამე კვარტალში 0,9%. ეს ტენდენცია არ ნარჩუნდება მეოთხე კვარტალთან მიმართებით და გვაქვს კლება 0,3 პუნქტით. ასევე ზრდაა ფილმების ნაწილშიც, წინა პერიოდთან შედარებით, მეოთხე კვარტალში ამ მიმართულებით გაუმჯობესებულია 0,2 ერთულით და 1,2% შეადგინა.




2019 წლის პირველ კვარტალში მაქსიმალური ყურებადობა პირველ იანვარს ფილმზე „რაც გინახავს ველარ ნახავ“ მოდის და 15 530 მაყურებელი შეადგინა საშუალოდ წუთში. მეორე კვარტალში მაქსიმალური ყურებადობა ფიქსირდება 13 ივნისს სიუჟეტზე „რატომ ევროპა?“ და 22 157 მაყურებელს ითვლის საშუალოდ წუთში. რაც შეეხება მესამე კვარტალს, მაქსიმალური წერტილი ამ შემთხვევაში 17 250 მაყურებელს ითვლის საშუალოდ წუთში და ეს მაჩვენებელი 25 სექტემბრის 14:00 საინფორმაციო დაიჯესტზე მოდის. მეოთხე კვარტალში კი მაქსიმალური წერტილი 29 796 მაყურებელია და დინამო ბათუმისა და დინამო თბილისის საფეხბურთო მატჩის პირველ ტაიმზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბების სამსახურს მოუხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის: მრჩეველთა საბჭოს წევრების, მაუწყებლის დირექტორის არჩევნების, თბილისსა და ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციების გაშუქება, მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის სატელევიზიო დებატების და პირდაპირი ჩართვების ორგანიზება. ამავე პერიოდში მოიმატა ახალი ამბების აუდიტორიამ, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე სოციალურ ქსელში.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების და ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ასახვა. მაუწყებლის რეპორტიორები აქტიურად აშუქებდნენ პარლამენტის პიკეტირებას, აქციებს ბათუმის, ქობულეთის მერიასთან, მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარულ ბიუროებთან, ასევე

კინოფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მოწინააღმდეგეთა აქციებს კინოთეატრებთან თბილსსა და ბათუმში. თბილისის ბიუროს გასაძლიერებლად ბათუმიდან დამატებით გაიგზავნა ჯგუფები თბილისში, რამდენჯერმე გვქონდა რამდენიმესაათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერი. წლის ბოლოს მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისა და რეგიონის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის ასახვა ახალ ამბებში, ასევე შემაჯამებელი რეპორტაჟების მომზადება 2019 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე. ამ ყველაფრის შედეგად გაიზარდა მაყურებლის რაოდენობა.

ახალი ამბების სამსახურის მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე: რეპორტაჟების ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ახალი ამბების, ასევე ანალიტიკური სამსახურის მიმართულებით, რისთვისაც აუცილებელია გუნდის შევსება ახალი კადრებით, ასევე არსებული შემადგენლობის, განსაკუთრებით რეგიონული ბიუროების, გაძლიერება პროფესიული უნარებით, სფეროების მიხედვით. აუცილებელია ტექნიკური საჭიროებებით უზრუნველყოფა.

გამოწვევად იქცა უცხოეთის ბლოკისთვის მასალების არქონა. სააგენტო „როიტერთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ შეწყდა წვდომა ხარისხიან მომწოდებელთან და მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროცესის კვალიფიციური გაშუქება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოწვევაა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ დაწყებული ახალი ამბების სამსახურის გამოშვებების მონიტორინგი, რომლის მიზანიც სარედაქციო პოლიტიკის შეფასებაა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2019 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საახალწლო ბადის დამუშავება-მომზადება;
- „დილის ტალღა“-ს განახლებული შეფუთვა; დამზადდა არტი/ტიხარი - საახალწლო არტი, 3 ტიხარი და ანონსების შეფუთვა;
- გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;

•ქართული ფილმების შეძენა-გაშვება;

•ბრენდირებული ნივთების შეძენა: ბრენდირებული ჩანთა, ბრენდირებული ჭიქა, მანქანების ბრენდირება, რადიოს სტუდიების შუშების ბრენდირება, ბეიჯები მაუწყებლის თანამშრომელთათვის, ბრენდირებული საწვიმარი ლაბადები, რადიოს კედელზე წარწერა, ბრენდირებული კალენდრები, „რადიოვიზიის“ წამყვანების საახალწლო მაისურები, ლაითბოქსების საახალწლოდ ცვლილება, ბორდის წარწერა კედელზე, მრჩეველთა საბჭოს წევრებისა (4X200) და მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომლებისთვის სავიზიტო ბარათები, ბრენდირებული ბლოკნოტები ბორდის წევრთა მოთხოვნით;

•სოციალური და კომერციული რეკლამების მიღება-განთავსება. (10 კომპანიის რეკლამა იქნა მოზიდული, რეკლამით შემოსული თანხა შეადგენს 24 497ლარს);

•ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაცია (მეორე ლიგა);

•მუსიკალური ნომრების გადაღება;

•DW ტრენინგი სარეკლამო საკითხებთან დაკავშირებით;

•ცენტრალური საახალწლო პროგრამის მომზადება;

•საახალწლო ეთერისათვის მუსიკალური ნომრების დამუშავება არქივის გამოყენებით;

•არტი „მთა“ დამზადება-ჩაშვება;

•2020 წლის მექანიკური პროდუქციის შეძენის კონკურსის პირობების მომზადება.

მეოთხე კვარტალში შემოქმედებითი ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს შეუფერხებლივ.

დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მივლინება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთ. მათ შორის, გადაცემის „ერთი დღე სოფელში“ შემოქმედებითი ჯგუფი იმყოფებოდა ესპანეთში, სადაც გადაიღო 2 (ორი) საახალწლო გადაცემა. „ეთნოფორი“-ს შემოქმედებითი ჯგუფი იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ასევე 2 (ორი) გადაცემა ჩაწერა.

შეიცვალა ახალი წლისთვის არხის შეფუთვა. შემოქმედებითმა ჯგუფებმა საახალწლო თემატიკით ჩაწერეს გადაცემები და საახალწლო მილოცვები, ქართული

ესტრადის სხვადასხვა ვარსკვლავებთან ერთად, რის შედეგადაც დამზადდა საახალწლო 2 სთ-იანი გადაცემა.

დოკუმენტური კინოს მიმართულებით - მეოთხე კვარტალში მივიღეთ ერთი დოკუმენტური ფილმი ოლიკო ჟღენტის რეჟისურით.

პროექტ „მონო“-ს ფარგლებში გადაღებულ იქნა „პანჩოს“ სოლო კონცერტი, ექსკლუზიურად აჭარის ტელევიზიისთვის.

მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის მიერ, პროგრამული ბადის მიხედვით მოხდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო, სპორტული ღონისძიებების, კონცერტების და შემოქმედებითი გადაცემების ტრანსლირება, ასევე დაუგეგმავი სპეციალური ეთერი.

სტუდიაში განახლდა აუდიო სისტემა. გამოიცვალა მიკროფონები.

31 დეკემბერს განხორციელდა შემოქმედებითი სამსახურის საახალწლო გადაცემის პირდაპირი და გალა კონცერტის ტრანსლირება.

## რადიო-შედეგები და საჭიროებები;

2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება;

- ჩაიწერა, შეიფუთა და განახლდა რადიო აჭარის საახალწლო მილოცვები და ტიხრები;

- შეიცვალა რადიოს შენობის ფასადზე განთავსებული ბილბორდები;

- პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა;

დღემდე პრობლემად რჩება ადამიანური რესურსის ნაკლებობა, რის გამოც ვერ ხერხდება რადიოს რიგი მიმართულებების სათანადოდ წარმოჩენა. საკადრო სიმცირეს განიცდის როგორც შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე ანალიტიკურიც.

მიმდინარე პროგრამულ ბადეში განთავსებულია შემდეგი გადაცემები: ,,სპორტი გოგი მურვანიძესთან ერთად'', ,,ეკოსამყარო'', ,,კონტაქტი,'',,ჩვენ და თვითმმართველობა'', ,,კომპეტენტური პასუხი'', ,,ღია ეთერი'', ,,საღამო მშვიდობისა'', ,,შუადღის ზოლი'' და ,,რადიოვიზია''.

## ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;

**სტატისტიკა**

2019 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებსაიტის მომხმარებელთა ზრდის დინამიკა, 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით მცირედით გაიზარდა.

გუგლ ანალიტიკის მიხედვით (იხ სქრინი ქვემოთ), ბოლო სამ თვეში, 07 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ვებ-გვერდზე **654,867** მომხმარებელი შემოვიდა, რომელიც სხვა დროსაც შემოსულა საიტზე (გასულ კვარტალში ასეთი 630,806 იყო).

პირველად შემოსული მომხმარებლის რაოდენობა, მეოთხე კვარტლის მონაცემებით იყო **539,051** (გასული კვარტალი 515,548 ).

საერთო ჯამში, თითოეული მათგანი საშუალოდ **2.56** მასალას ათვალიერებდა, გასულ კვარტალში ეს ციფრი უფრო მაღალი იყო და საშუალოდ ერთი მომხმარებელი 3.02 მასლას ათვალიერებდა. ეს მონაცემი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად ახერხებს მაუწყებელის ვები, რომ ერთ თემაზე შემოსულ ადამიანს შესთავაზოს მისთვის საიტერესო ინფორმაცია.

ფიქრობთ, ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევის დახარჯვა გვესაჭიროება, ანუ დინამიკაში, როცა ერთ თემას ბევრი ნახვა აქვს, ამ თემაზე სხვადასხვა კუთხით უნდა გაკეთდეს მასალები. მაჩვენებელი ცუდი არ არის (კონკურენტ კომპანიებთან შედარებით), თუმცა მცირედით კლება ფიქსირდება, რაც საყურადღებოა.

საანგარიშო პერიოდში, შემოსულმა მომხმარებლებმა 1,674,462 სტატია, ვიდეო ან ინფორმაცია ნახა. გასულ კვარტალში ეს ციფრი 1,902,360 იყო.




არსებული მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ უნიკალურ შემომსვლელთა და ძირითადი აუდიტორიის მატების ტენდენცია არის, თუმცა მცირე რაოდენობით. მათ შორის გაზრდილია უნიკალური ვიზიტორებიდან უკან დაბრუნებული მომხმარებლების რაოდენობა, გასულ კვარტალში 115 000 ადამიანი უკან, დაბრუნდა. საანგარიშო პერიოდში - 253 ათასი.

აუდიტორია ქალაქების მიხედვით: 228 000 ბათუმი, 322 000 თბილისი, 91 456 სხვა ქალაქებიდან. დაახლოებით ანალოგიურია წინა კვარტლის მონაცემებიც.



რაც შეეხება ქვეყნებს, გასულ კვარტალში უფრო მეტი აუდიტორია თურქეთიდან იყო შემოსული (სავარაუდოდ თურქეთში სამუშაო სეზონის გამო, რომელიც ნოემბერში დასრულდა. აღნიშნულ პერიოდში, ამ საკითხებზე, მაუწყებელს მრავალფეროვანი ინფორმაცია ჰქონდა მომზადებული). ამ კვარტალში გაიზარდა აშშ მყოფი ქართველების რაოდენობა.

**Demographics**
Language
Country
City

**System**
Browser
Operating System
Service Provider

**Mobile**
Operating System
Service Provider

| Country | Users | % Users |
|---|---|---|
| 1. Georgia | 567,665 | 85.82% |
| 2. United States | 25,473 | 3.85% |
| 3. Turkey | 14,942 | 2.26% |
| 4. France | 9,201 | 1.39% |
| 5. Russia | 7,065 | 1.07% |
| 6. Italy | 6,347 | 0.96% |
| 7. Greece | 5,273 | 0.80% |
| 8. Germany | 4,331 | 0.65% |
| 9. Ukraine | 2,564 | 0.39% |
| 10. Poland | 2,216 | 0.34% |

განმარტება საიდან შემოდიან. ანალიტიკის მიხედვით, 97% მობილურით ხსნის ჩვენს საიტს. 03 პროცენტამდეა იმათი რიცხვი, ვინც სხვა საშუალებებით შემოს ვებ-გვერდზე. (ისევე, როგორც სხვა საიტებზე).

| Browser | Users | % Users |
|---|---|---|
| 1. Android Webview | 342,458 | 51.92% |
| 2. Chrome | 142,279 | 21.57% |
| 3. Safari (in-app) | 111,798 | 16.95% |
| 4. Safari | 33,845 | 5.13% |
| 5. Samsung Internet | 12,651 | 1.92% |
| 6. Opera | 7,396 | 1.12% |
| 7. Firefox | 2,258 | 0.34% |
| 8. Android Browser | 1,696 | 0.26% |
| 9. Edge | 1,344 | 0.20% |
| 10. YaBrowser | 1,225 | 0.19% |

view full report

მაუწყებლის ვებ-გვერდს ყველაზე ხშირად, 25-დან 34 წლამდე ასაკის მამაკაცები ნახულობენ. ეს მონაცემები დაფიქსირდა წინა კვარტალშიც, მინიმალური ცვლილებებით.

ქვემოთ მოცემულ სქემაში ნაჩვენებია, რომ საიტზე 70% მამაკაცი შემოვიდა ამ კვარტალში. რაც შეეხება ასაკს, 25-დან 54 წლამდე აუდიტორიაა ყველაზე აქტიური. შემდეგ მოდიან 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები და ბოლოს 65 წელს გადაცილებულები.




გასულ კვარტალთან შედარებით, 18-24 წლის კატეგორია 02 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 65+ შემცირდა.

პირველ კვარტალში უნიკალური ვიზიტორის რაოდენობის მაქსიმუმი (25 მარტს) 23. 959 იყო, მეორე კვარტალში - 26 000, ხოლო მესამე კვარტალში - 41 600.

რაც შეეხება მეოთხე კვარტალს, 25 დეკემბერს 40 923 ვიზიტორი დაფიქსირდა.




**შემომსვლელების საერთო დინამიკა, ამ კვარტალშიც დღეში 10-დან 20 000-მდეა.**

აღსანიშნავია, რომ საერთო სურათზე მატება სახეზეა, თუმცა ოქტომბერში სოციალურ ქსელში ლაივების დაბლოკვის შემდეგ (გამოყენებული სპორტული და უცხოური მედიის კადრების გამო დავისაჯეთ), facebook-ის ადმინისტრაციისგან მივიღეთ გაფრთხილება, რომ საავტორო უფლებების დარღვევის გამო, სანქციებს ვექვემდებარებით და შემდეგ ჯერზე საერთოდ წაიშლებოდა მაუწყებლის ფეისბუქ გვერდი.

გაფრთხილების პარალელურად, facebook-ის ადმინისტრაციამ განახორციელა სანქციები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენს გვერდზე განთავსებული მასალები ქრონიკაში არ უვარდებოდა ჩვენს გამომწერებსა და გვერდის ლაიქერებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ჩანს, რომ ოქტომბრიდან იწყება რიჩების დინამიკის ვარდნა.




ე.წ. რიჩი (ანუ, საინფორმაციო ველში მოხვედრის მაჩვენებელი დაუჯერებლად დაბალი იყო, მაგალითად რიგ შემთხვევაში 500 ან 700). შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რიგი შეზღუდვების შედეგად, სერიოზულად დავზარალდით, რადგან top.ge მონაცემებით, 83% facebook-დან გადმოდის ვებგ-ვერდზე, შესაბამისად ეს დაბლოკვა დიდწილად აისახა ჩვენს მონაცემებზე და ამ დანაკლისის შევსებას სხვადასხვა ფორმით ვებრძოდით. შევქმენით ინტერესთა ჯგუფები, დავემატეთ სხვადასხვა პორტალებზე და ასე ვავრცელებდით ჩვენს პროდუქციას. ამ აქტივობამ შედეგი გამოიღო. წინა კვარტალის მაჩვენებლები შევინარჩნეთ და მცირედით გავაუმჯობესეთ, თუმცა ეს არ იყო სტაბილური ზრდის დინამიკა და ის მიზანი, რაც მესამე კვარტალში დავისახეთ.

სტატისტიკა დღეების მიხედვით: 09 Jan ან ბოლო 1 დღე

| # | რაოდენობა | საიდან შემოვიდა | პროცენტი |
|---|---|---|---|
| 1. | 4413 | http://m.facebook.com | 70.47 % |
| 2. | 602 | https://www.facebook.com | 9.61 % |
| 3. | 571 | undefined / bookmark | 9.12 % |
| 4. | 202 | https://m.facebook.com | 3.23 % |
| 5. | 176 | https://www.google.com | 2.81 % |
| 6. | 77 | android-app://m.facebook.com | 1.23 % |
| 7. | 72 | http://ajaratv.ge | 1.15 % |
| 8. | 32 | android-app://com.google.android.googlequicksearchbox | 0.51 % |

არსებული დინამიკის მიხედვით, მესამე კვარტლის მონაცემებიდან გამომდინარე, გვქონდა მიზანი, რომ საიტის აუდიტორია დღეში 15-25 ათასამდე გაგავეზარდა.

სოციალური მიმართულება - აჭარის მაუწყებლის ტელევიზიისა და რაიდოს გვერდები.

სოციალურ ქსლეში 99 316 მომხმარებელი (ფოლოუერი) გვყავს, ხოლო 91 000-მდე ლაიკერი.

ბოლო სამი თვის განმავლობაში, facebook-ზე დადებული ვიდეოების მონაცემები.



## საქართველოს მასშტაბით პოზიციონირება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 1 | მთავარი არხი • Mtavari Arkhi | 5.41M | 0.648% | 32.32 | 185.56M | 313,791 | +32.84% +77,579 |
| 2 | Rustavi 2 | 1.78M | 0.038% | 67.68 | 75.60M | 739,926 | +3.53% +25,245 |
| 3 | TV Imedi | 1.63M | 0.037% | 76.94 | 38.67M | 608,436 | +2.03% +12,079 |
| 4 | პირველი არხი | 1.39M | 0.041% | 123.61 | 31.82M | 302,807 | +6.82% +19,344 |
| 5 | TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი | 825,384 | 0.049% | 79.74 | 40.13M | 231,827 | +5.46% +12,004 |
| 6 | თოქ-შოუ პროფილი | 739,213 | 0.882% | 3.44 | 26.12M | 266,969 | +6.05% +15,221 |
| 7 | რადიო თავისუფლება | 734,163 | 0.053% | 53.83 | 13.59M | 280,865 | +3.64% +9,853 |
| 8 | ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show | 496,516 | 0.523% | 2.81 | 12.92M | 364,632 | +2.75% +9,749 |
| 9 | ტაბულა • Tabula | 446,326 | 0.031% | 74.9 | 4.59M | 203,889 | +1.14% +2,298 |
| 10 | NEWS.On.ge | 427,110 | 0.107% | 38.87 | 4.18M | 111,296 | +6.27% +6,563 |
| 11 | TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews | 388,221 | 0.039% | 76.32 | 16.05M | 142,088 | +5.82% +7,812 |
| 12 | ambebi.ge • ამბები.ge | 353,741 | 0.024% | 42.94 | 72,895 | 359,656 | +0.54% +1,934 |
| 13 | Kakha Kaladze კახა კალაძე | 339,233 | 1.169% | 0.78 | 3.55M | 405,649 | +4.26% +16,581 |
| 14 | POSTV - გართობა | 309,249 | 0.41% | 2.45 | 15.25M | 332,441 | +2.94% +9,507 |
| 15 | Netgazeti | 278,596 | 0.069% | 46.41 | 2.74M | 91,838 | -0.07% -66 |
| 16 | InterPressNews.ge | 274,619 | 0.079% | 34.02 | 100,580 | 108,473 | +2.68% +2,827 |
| 17 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი … | 251,057 | 0.062% | 47.72 | 3.04M | 90,293 | +4.87% +4,189 |
| 18 | მიხეილ უკრაინოლოგი | 223,407 | 0.709% | 2.29 | 3.03M | 147,403 | +1.04% +1,516 |
| 19 | POSTV - ახალი ამბები | 219,021 | 0.186% | 16.7 | 8.07M | 77,978 | +8.75% +6,277 |
| 20 | პრაიმშოუ • PrimeShow | 204,908 | 0.621% | 1.57 | 8.25M | 226,105 | +3.08% +6,764 |
| 21 | palitravideo.ge | 190,840 | 0.024% | 36.34 | 1.40M | 234,268 | +0.55% +1,278 |
| 22 | BMG | 188,439 | 0.033% | 63.14 | 5.41M | 99,153 | +11.28% +10,054 |

მესამე კვარტალში მე-18 ადგილზე ვიყავით ცენტრალური მედია საშუალებების, პოპულარული გადაცემების ან გვერდების რეიტინგში, რომელიც მოქალაქეების ჩართულობითა და აქტიურობით (ემოციები, კომენტარები, გაზიარებები) იზომება. ახალი არხების დამატების მიუხედავად, მესამე კვარტალში მე-17 ადგილზე გადმოვინაცვლეთ. აღსანიშნავია, რომ პირველი სამეული ყოველთვის უცვლელია - მათი ლაიკერების რაოდენობა 05 ჯერ აღემატება ჩვენს რესურსს. მედიაორგანიზაციებს თუ დავთვლით, ჩვენი პოზიციონირება მე-14 ადგილით განისაზღვრება. თუ არ გავითვალისწინებთ ისეთ გვერდებს, რომლებიც დიდ თანხას ხარჯავენ ამ გვერდების დამატებით რეკლამირებაში (კახა კალაძის გვერდს, მიხეილ უკრაინოლოგის გვერდს, ნანუკას შოუს და ა.შ.). ამ კვარტალში, საანგარიშო პერიოდში, მაუწყებლის გვერდზე მასალებს 251 000 ემოცია, კომენტარი და გაზიარება ჰქონდა.

აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი მაუწყებელი

AjaraTV

251,057

მე-12 ადგილზე ვართ პოსტების დადების სტატისტიკით, დღეში facebook გვერდზე საშუალოდ 48 პოსტი იდება.

2020 წლიდან, ვგეგმავთ youtube-ზე გადავიტანოთ ყველა ვიდეო, რაც გადის ტელევიზიით. დავალება ტექნიკურ ჯგუფს უკვე მიეცა. ამით შევეცდებით გავზარდოთ youtube-ის მნახველთა რაოდენობა. იმედი გვაქვს, რომ სოციალურ მედიის მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერდება გუნდი და სხვა სოციალური ქსელების ათვისებას უფრო აქტიურად შევძლებთ.

youtube-ს ჩვენ ვერ ვიყენებთ. მისი ინსტრუმენტები დიდ შესაძლებლობას მოგვცემს, როგორც Instagram-ზე, ისე Twitter-ზე. ამ ეტაპის ამოცანაა Instagram-ზე უფრო მეტი რესურსი დავხარჯოთ, რადგან დიდწილად ახალგაზრდა აუდიტორია, ამ ქსელშია გადაპორტირებული.

დავიწყეთ კიდეც Instagram-ზე პოზიციონირება. ამ ეტაპზე სტორებით შემოვიფარგლეთ, ეტაპობრივად ვფიქრობთ ახალი პროდუქტების მოფიქრებას, თუმცა მწირი ადამიანური რესურსების გამო, ამ მიმართულებით განსაკუთრებული ცვლილებები არ გვაქვს.

ვფიქრობთ, რომ ცუდი პოზიციონირება (არ ვვითარდებით) ბევრი ფაქტორის გამო რთულდება. ყველა ჯერზე, როცა ონლაინ სამსახურის ჯგუფი მოახერხებს და ზრდის ჩართულობის გაზრდას, facebook-ის ადმინისტრაცია გვიბლოკავს და გვიმცირებს ნახვებს - ლაივების დაბლოკვის გამო. უფრო მეტიც, მაუწყებლის facebook გვერდი ვერ გადის ვერიფიკაციას, რადგან მრავალჯერ გვაქვს გაფრთხილება მიღებული საავტორო უფლებების დარღვევის გამო. ბევრჯერ დავისაჯეთ (რამდენჯერმე პოსტების დადება აგვიკრძალა facebook-ის ადმინისტრაციამ გარკვეული დროით, ორჯერ კი გვერდის გაუქმების შესაძლებლობის შესახებ მოგვწერეს).

2017 წელს ჩვენი ამოცანა იყო, რომ მაუწყებლის ვებ-გვერდი განახლებად საინფორმაციო წყაროდ დაფიქსირებულიყო, სადაც უახლესი ამბები თავსდება. პირველი ამოცანა შესრულებულია და მაუწყებელის ვებ-გვერდი ონლაინ მედიაბაზარზე სხვა მედიასაშუალებებთან ერთად პოზიციონირებს.

შედეგები არის მზარდი, თუმცა არადამაკმაყოფილებელი.

მიზეზი - ვების მიმართულება:

აღიარებული სტანდარტია - ონლაინ მედია მინიმუმ 18 საათიან რეჟიმში მუშაობს, ეს ნიშნავს, რომ ერთი თანამშრომლის კანონით განსაზღვრული სამუშაო დღე, არ ჰყოფნის ვების სამუშაო გრაფიკს (ორ სმენას). ამბები ხდება საღამოს 20-21 საათის შემდეგაც, კონკურენტები, გრაფიკით ფარავენ ამ პრობლემას. ჩვენს შემთხვევაში, თანამშრომლის ზეგანაკვეთურის ხარჯზე, ამასთან, მონიტორინგის ან სისწრაფის ნაწილში, ნაკლებეფექტურები გამოვდივართ.

გამოწვევად რჩება კოორდინირებული მუშაობა სამსახურებს შორის, სწრაფად და ეფექტურად მოვლენის ადგილიდან ინფორმაციის მოწოდება. საუბარია სრულყოფილი ნიუსის დაწერაზე.

არის შემთხვევები, რომ გვაქვს ფოტოები ჩაგდებული ჟურნალისტის მიერ, ამბავს კი სხვა საიტებიდან ვგებულობთ, რადგან ტექსტს საერთოდ არ წერენ, ან ერთი სიტყვით წერენ. გარემოს, კონტექსტის და სიტუაციის შეფასების გარეშე კი, ამ მასალების გაკეთება რთულია და დაბალი ხარისხისაა, ან კიდევ დაგვიანებულია.

ვებზე რედაქტორი და სამსახურის უფროსი ჟურნალისტის ფუნქციას ასრულებს, რადგან როგორც ზემოთ დავწერე, ამბებს ჟურნალისტები ვებისთვის არ წერენ. ახალი ამბების მოძიებისთვის ან ექსკლუზიური მასალების მოპოვებისთვის რესურსი ძალიან ცოტა რჩება.

ხარისხი - მაუწყებლის ვებ-გვერდს არ ჰყავს სტილისტი. ეს არის ნონსენსი. ნებისმიერ თავმოყვარე გამოცემას ჰყავს სტილისტი, მით უფრო ბეჭდვითს. ეს აისახება ჩვენს რეპუტაციაზე.

სათაურები - ყველა მასალას, რომელიც გადის ეთერში - აქვს მისი დასათაურება ეთერშივე. ტექნიკოსს მისი შეცვლის არც რესურსი და არც უფლებამოსილება არ აქვს.

აუცილებელია, ტელევიზიის მასალა, რომელიც თავსდება ვებზე, იყოს საინტერესო, გასაგები და მარტივი. ამიტომ, მასალების ავტორებმა უნდა იფიქრონ და დაასათაურონ იგი, გამოგზავნონ წყობასთან ერთად.

საიტზე დადებულ ამბებს აკლია გამომსახველობა, საინტერესო დეტალები, რადგან წერს არა უშუალოდ მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ჟურნალისტი, არამედ ვების თანამშრომელი, რომელიც ვერ გადის გარეთ.

სოციალური მიმართულება - ჯგუფი ამ მიმართულებით არ გვყავს!

## იურიდიული მხარდაჭერა

2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - **3339;**

გარედან შემოსული - **487.**

კანცელარიიდან **გაიგზავნა 622** წერილი.

მაუწყებელში **შეიქმნა და რეგისტრაციაში** გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - **22 ბრძანება;**

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – **493 ბრძანება;**

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - **173 ბრძანება.**

**რეგისტრაციაში გატარდა** - **652** მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გაიარა ორკვირიანი ტრენინგი - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.

2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) მიერ გამოცხადებულ ელ. აუქციონში - (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 0,5 გრძივი მეტრის და მის მიმდებარე 2 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 20.32.06.035) იჯარის მიზნით, 2 წლის ვადით - გაიმარჯვა შპს „აირნეტმა“. რომელთანაც გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომელიც დარეგისტრირდა სსიპ საჯარო რეესტის ეროვნულ სააგენტოში. მაუწყებლის დაზუსტებული სარჩელი მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის, ჩოხატაურის მუნიცილაიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ წარმოებაში იქნა მიღებული. (დავის საგანი: თანხის დაკისრება. 2016 წელს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულზე დაზიანებული კამერის შეკეთების ხარჯი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით სასამართლოს განჩინებით (შუამდგომლობის საფუძველზე) ყადაღა დაედო ჯუმბერ ძირკვაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს. ზემოთხსენებული საქმის განხილვა მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში. რადიორუბრიკების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გაფორმდა ხელშეკრულებები გამარჯვებულებთან. (შესაბამისი ბრძანებების მომზადება, კონსულტაციების გაწევა, ხელშეკრულებების მომზადება), თვითრეგულირების ერთი საქმე იქნა განხილული მერაბ ბლადაძის საჩივრის საფუძველზე. (თვითრეგულირების კომისიის დაკომპლექტების ორგანიზება, შესაბამისი ბრძანებების გამოცემა, თვითრეგულირების კომისიისთვის სამართლებრივი დასკვნის მომზადება, სხდომების ჩატარების ორგანიზება, ოქმების შედგენა, ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება). სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ტელერადიო პროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების წესის/დებულების ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა მრჩეველთა საბჭოს მიერ. აღნიშნული ცვლილების შემდგომ, გადამუშავდა დებულება და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ცვლილებები დებულებაში, მომზადდა კორესპოდენცია გადახდის გადავადებაზე ავტომობილების პარკირების საფასურის გადაუხდელობის გამო, მაუწყებლის მიმართ

მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონიძიებების თაობაზე, მაუწყებლის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების (1. შპს „ბურჯი ინვესტი“. 2. შპს „გრინ ლაით სტუდიო“) აღსრულების მიზნით, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარედგინა საქმეები, მიმდინარეობდა შპს „ეიგლის“ (მიმწოდებელი #199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.23/08/2019) წინააღმდეგ სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსამზადებელი პროცედურები (ინფორმაციის გამოთხოვა სსიპ საჯარო რეესრის ეროვნული სააგენტოდან, შსს მომსახურების სააგენტოდან) ხორციელდება მუშაობა ინვენტარისაზიის კომისიაში, სატენდერო კომისიაში, სოციალური რეკლამების სტატუსის მიმნიჭებელ კომისიაში. ინვენტარიზაციის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა აუქციონის გამოცხადება გადასატანი გადამცემი სატელიტური სადგურის პრივატიზების მიზნით. აუქციონი არ შედგა. მაუწყებლის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების - მდებარე სულხან-საბა ორბელიანის #17-ში - ნაწილის იჯარის გაცემის მიზნით შესაბამისი პროცედურების წარმოება (შესყიდვების განყოფილების უფროსი).(აუდიტის მომსახურების შესყიდვა, ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობისთვის მიმართვა - კორესპონდენცია) ასევე სხვადასხვა სახის კორესპონდენციის მომზადება.

## კვარტლის ტენდერები

2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეოთხე კვარტალში გამოცხადდა 15(თხუთმეტი) ტენდერი, მათ შორის: შერჩევა/შეფასების ეტაპზეა 1(ერთი), შეწყდა - 2 (ორი) მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება - 1(ერთი), ხოლო 11(თერთმეტ) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები. ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

2019 წლის მეოთხე კვარტალში გაფორმდა 99 ხელშეკრულება, მათ შორის:

1. 39 გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 53 გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

4. შესყიდვების გეგმის გარეშე გაფორმდა 5 ხელშეკრულება (ფილმების შესყიდვა, გარე წარმოება, საიჯარო და სხვა მომსახურებები).

## ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

2019 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, ვაკანტურ პოზიციებზე განხორციელდა 3(სამი) კონკურსის გამოცხადება 7(შვიდი) სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის 5 დასრულდა შედეგით; მომზადდა 34(ოცდათოთხმეტი) სხვადასხვა ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების პროექტი; მომზადდა 21(ოცდაერთი) შეთანხმების პროექტი, ინდივიდუალურ შრომის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე; მომზადდა 15(თხუთმეტი) ბრძანების პროექტი, დაკავშირებული ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობასთან; განხორციელდა 43(ორმოცდასამი) სუბიექტის (დასაქმებულებისა და ყოფილი დასაქმებულების) პირადი საქმეების გაციფრულება, დაარქივება და შესაბამის პროგრამაში განთავსება; განხორციელდა 6(ექვსი)დასაქმებულის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების მასალების შეგროვება; ახალი ამბების სამსახურის ერთი რეპორტიორი იმყოფებოდა სასწავლო მივლინებაში, იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენელი იმყოფებოდა სასწავლო მივლინებაში (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში). ხუთ ათეულზე მეტ მაუწყებლის თანამშრომელთან განხორციელდა ინდივიდუალური შეხვედრა, მათი საჭიროებებისა და მოლოდინების გარკვევის უზრუნველსაყოფად; საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ინფორმაციის მიეწოდა საჯარო სამსახურის ბიუროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს და კერძო აღსრულებელს.

## „შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

ახალი ამბების სამსახურში სტაჟირების პროგრამით მუშაობს ერთი სტაჟიორი, რომელმაც უკვე გაიარა მოსამზადებელი პერიოდი და დამოუკიდებლად ამზადებს მასალებს.

სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 2019 წლის მე-4 კვარტალში სამსახურში იქნა მიღებული 3 წარმატებული სტაჟიორი (გადაცემა „რადიოვიზია“).

## საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

ახალი ამბების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას "ამერიკის ხმასთან". მთავარის ეთერში გადაიცემა სხვადასხვა თემაზე მომზადებულ მასალები.

საანგარიშო პერიოდში, მაუწყებელში განვითარებული პროცესების ფონზე, რაც ახალი დირექტორის არჩევის შემდეგ დაიწყო, ახალი ამბების სამსახურის 18-საათიანი და 20-საათიანი გამოშვების მონიტორინგი დაიწყო ჟურნლისტური ეთიკის ქარტიამ, რომელმაც ამავე დროს რეპორტიორებსა და მენეჯმენტს შორის მედიატორის ფუნქციაც იკისრა.

## მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

2019 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. ტენდერის საშუალებით რადიო მიკროფონების შესყიდვა;
2. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, „პეტლიჩკებს“, შტატივებს;
3. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა ახალი ამბების სამსახურის კამერებს;
4. № 30 ოთახში დამონტაჟდა განათება.
5. ჩატარდა ტექნიკის ინვენტარიზაცია;
6. მიმღებ სატელიტურ ანტენებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები;
7. სხვენის ტერიტორიაზე ნაწილობრივ გავმართეთ ელექტრო გაყვანილობა; დამონტაჟდა გათბობა/გაგრილების სისტემა, დამონტაჟდა და სამუშაოდ გაიმართა შემოქმედების სამსახურის ორი სამონტაჟო.

**გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები, 2019 წლის მეოთხე კვარტალში:**

ა) ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), FM გადამცემ სადგურს, აჭარის რადიოს FM გადამცემ ანტენებს და დენის უწყვეტ წყაროს ჩაუტარდა პროფილაქტიკური საუშაოები, გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური ანტენა. დიზელ-გენერატორში გამოიცვალა ძრავის ზეთი და საწვავის ფილტრი. გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე;

ბ) ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა აჭარის რადიოსFM გადამცემ სადგურს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური ანტენა. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰრცის სიხშირეზე;

გ) შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. ( თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ ანტენებს და გამოიცვალა რესივერი. გადამცემი მუშაობს 106,0 სიხშირით;

დ) შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით;

ე) ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). შეიცვალა სატელიტური ანტენა. გადამცემი მუშაობს 104,1 სიხშირით;

ვ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა მიმღები სატელიტური ანტენა, გადამცემი მუშაობს 96,1 სიხშირით;

ზ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გამოიცვალა სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით;

თ) დასრულდა სამონტაჟო სამუშაოები ქალაქებში (ქუთაისი, გორი, ფოთი, ლაგოდეხი) და დაიწყო აჭარის რადიოს მაუწყებლობა აღნიშნულ რეგიონებში, შესაბამისად 99,3. 94,1. 90,7. და 90,7 სიხშირეებზე. გამოცხადებული ტენდერით, უახლოეს დღეებში მოგვეწოდება ერთი ცალი ანტენის ანალიზატორი და ერთი ცალი სატელიტური ანალიზატორი;

ი) დამთავრდა საქართველოს ტელერადიცენტრისთვის შესანახად მიბარებული აჭარის ტელევიზიის გადამცემი სადგურების დემონტაჟი თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან და ბათუმში ტრანსპორტირება. დარჩენილია დემონტაჟის ჩატარება ქალაქ ზუგდიდში.

**IT სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები, 2019 წლის მეოთხე კვარტალში:**

- ოპტიკურ-ბოჭკოვაბანი ინტერნეტი (მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება);
- 2020 წლისთვის კომპიუტერული, ქსელური და პროგრამული საჭიროებების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავება;
- ჰოსტინგი (მოკვლევა, ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, ინფორმაციის გადატანა, ბექაფი, ელექტრონული ფოსტების შექმნა, ინტეგრაცია კლიენტურ პროგრამებში, მონიტორინგი);

- სატელეფონო კავშირი (მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება);

- პრინტერების ფასების მოკვლევა, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, ინსტალაცია;

- პორტატული ნოუთბუკები (მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება);

- ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის( AP) მოწყობილობების გამართვა, პრიორიტეტებისა და უსაფრთხოების განსაზღვრა, მონიტორინგი;

- გრაფიკული სადგურის ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება/ინსტალაცია;

- კატრიჯების ფასების კვლევა, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება;

- კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი;

- სერვერების (როუტერი, NAT, DHCP, Firewall, FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

- რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი;

- ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

- სამაუწყებლო სერვერების, ხმის ჩამწერი, შესაგორებელი და სამონტაჟო სადგურების ტექნიკური და პროგრამული გამართვა, მონიტორინგი.

## მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის Facebook გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში. მოქალაქეები გვთხოვენ ჯანდაცვის, კომუნალური, სოციალური, სამართლებრივი პრობლემების გაშუქებას, სხვადასხვა უწყებასთან შუამდგომლობას. სოციალურ ქსელში განთავსებულ მასალებზე გამოხმაურებით დგინდება უკუკავშირი.

## სამომავლო რისკები და გამოწვევები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობა რომ გახდეს მდგრადი, აუცილებელია არხს გააჩნდეს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, მომდევნო კვარტალში უნდა შედგეს დაგეგმილი ტენდერები და გამართული ფუნქციორებისთვის შევიძინოთ ტექნიკა.

## გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის

მომდევნო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანებია:

- დებულებაში ცვლილების შეტანა;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ღირებულებებზე დაფუძნებული ერთიანი გუნდის შექმნა;
- ტელევიზიის ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- მაუწყებლის ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;
- ტექნიკის შეძენა;
- შეფასების სისტემის ამოქმედება;
- გუნდის გაძლიერება;
- დონორებთან კომუნიკაცია;
- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- გაზაფხულის სეზონის მომზადება.

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს**

**2019 წლის მეოთხე კვარტალის**

# ფინანსური ანგარიში

**2019 წლის მეოთხე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 1 816 000,00 ლარს (12 თვის მდგომარეობით 8 730 000,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 2 221 142,76 ლარი (12 თვის მდგომარეობით 8 033 033,45 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 12 თვის მდგომარეობით შეადგენს 92,02 %-ს.**

**2019 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 51 900,00 ლარს (12 თვის მდგომარეობით 200 000,00 ლარი), გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს -64 824,31 ლარს (12 თვის მდგომარეობით 187 963,36 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 12 თვის მდგომარეობით შეადგენს 93,98 %-ს.**

**სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2019 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).**

**2019 წლის მეოთხე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების თანხა შეადგენს 58 459,05 ლარი.
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).**

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ

## 2019 წლის IV კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

| ხარჯების დასახელება | საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) | | | | საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
| **სულ** | 745.420,05 | 668.386,65 | 807.336,06 | 2.221.142,76 | 13.435,17 | 20.985,48 | 30.403,66 | 64.824,31 |
| **მრჩეველთა საბჭო** | 32.320,00 | 16.690,62 | 46.054,90 | 95.065,52 | 0,00 | 0,00 | 1.830,00 | 1.830,00 |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 10.637,50 | 12.251,51 | 19.500,23 | 42.389,24 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი | 4.350,00 | 4.350,00 | 4.350,00 | 13.050,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მრჩეველთა საბჭოს მივლინება ქვეყნის შიგნით | 580,00 | 0,00 | 0,00 | 580,00 | 0,00 | 0,00 | 980,00 | 980,00 |
| საკანცელარიო საქონელი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 500,00 | 500,00 |
| მრჩეველთა საბჭოს მობილური სატელეფონო მომსახურება | 103,49 | 89,11 | 122,55 | 315,15 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სავიზიტო ბარათების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 350,00 | 350,00 |
| სოც. კვლევა | 15.037,92 | 0,00 | 0,00 | 15.037,92 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| რეიტინგების მთვლელი კვლევა | 1.611,09 | 0,00 | 3.222,18 | 4.833,27 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საოფისე ნოუთბუქი (5) | 0,00 | 0,00 | 18.859,94 | 18.859,94 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ადმინისტრაცია** | 229.594,64 | 255.588,13 | 321.485,82 | 806.668,59 | 5.201,50 | 4.233,96 | 6.949,06 | 16.384,52 |
| თანამდებობრივი სარგო | 125.617,76 | 128.365,57 | 129.840,91 | 383.824,24 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრემია (შტატი) | 0,00 | 0,00 | 8.625,00 | 8.625,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 40.546,41 | 40.889,29 | 36.443,39 | 117.879,09 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრემია (შტატგარეშე) | 0,00 | 0,00 | 12.625,00 | 12.625,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 1.205,00 | 1.225,00 | 615,00 | 3.045,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 0,00 | 928,15 | 0,00 | 928,15 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 60,00 | 0,00 | 218,00 | 278,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დანარჩენი საკანცელარიო ნივთები | 4.555,00 | 0,00 | 0,00 | 4.555,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პროგრამული განახლების უზრუნველყოფა | 0,00 | 0,00 | 2.200,00 | 2.200,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 0,00 | 26,40 | 51,60 | 78,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კატრიჯების შეძენა/დატუმბვა | 1.616,60 | 0,00 | 3.991,15 | 5.607,75 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მაცივრის, მტვერსასრუტების, თმის ფენის, ელ. გამათბობლების შეძენა | 880,00 | 170,00 | 1.290,00 | 2.340,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ცეცხლმაქრების შეძენა ავტომანქანებისთვის | 0,00 | 0,00 | 630,00 | 630,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პანდუსების შეძენა | 0,00 | 0,00 | 950,00 | 950,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ბრენდირებული საქონელი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 820,00 | 820,00 |
| გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.228,00 | 0,00 | 0,00 | 2.228,00 |
| კომპიუტერის ანტივირუსის ლიცენზია | 7.803,34 | 0,00 | 0,00 | 7.803,34 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური | 0,00 | 0,00 | 20,00 | 20,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დომენის რეგისტრაციის გაგრძელება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 90,00 | 0,00 | 90,00 |
| ყავის მადუღარები და ჩაიდნების შეძენა | 1.300,00 | 0,00 | 0,00 | 1.300,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ქოთნების, მიწისა და ტორფის შეძენა მცენარეებისთვის, დეკორატიული მცენარის შეძენა | 0,00 | 244,90 | 0,00 | 244,90 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სამეურნეო საქონელის (კაბელის არხი, სარჩილავის კალა, ალუმინის პროფილი, კუთხოვანა და სხვა) შეძენა | 0,00 | 0,00 | 470,40 | 470,40 | 0,00 | 60,00 | 0,00 | 60,00 |
| სპეცტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები | 0,00 | 0,00 | 1.678,00 | 1.678,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტანსაცმელის საკიდი და საშრობი | 0,00 | 105,00 | 0,00 | 105,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 409,00 | 0,00 | 227,00 | 636,00 | 160,00 | 0,00 | 364,00 | 524,00 |
| სამსახურებრივი მოწმობების (ბეიჯი), სერტიფიკატების, სავიზიტო ბარათების დამზადება | 10,00 | 0,00 | 60,00 | 70,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საწმენდი საშუალებები, დისპენსერები, ჯაგრისები, ტილოები და სხვა | 463,30 | 0,00 | 1.092,00 | 1.555,30 | 0,00 | 57,00 | 0,00 | 57,00 |
| პირსაბანი ნიჟარის, უნიტაზის კომპლექტის, უნიტაზის სახურავის, ონკანის შეძენა | 0,00 | 0,00 | 90,00 | 90,00 | 0,00 | 215,00 | 290,00 | 505,00 |
| საოფისე ავეჯის შეძენა-შეკეთება | 0,00 | 0,00 | 515,00 | 515,00 | 0,00 | 1.212,00 | 0,00 | 1.212,00 |
| თაბაშირ-მუყაოს ხმის საიზოლაციო ფილები, საღებავების, გამხსნელის, წებოების,სამკაპი, ლინოლეუმი და სხვა | 0,00 | 106,00 | 0,00 | 106,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დიზელ გენერატორის ზეთი, ფილტრები | 0,00 | 465,00 | 0,00 | 465,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 712,79 | 734,81 | 1.753,33 | 3.200,93 | 22,00 | 22,00 | 44,00 | 88,00 |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 2.207,02 | 2.268,17 | 2.303,55 | 6.778,74 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკაბელო სატელევიზიო მომსახურება | 0,00 | 227,10 | 252,25 | 479,35 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ინტერნეტით მომსახურების ხარჯი | 1.980,00 | 1.980,00 | 3.960,00 | 7.920,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი | 0,00 | 1.170,00 | 2.340,00 | 3.510,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საფოსტო მომსახურება | 77,22 | 138,04 | 209,96 | 425,22 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ელ.ენერგიის ხარჯი | 5.392,45 | 5.317,50 | 7.520,99 | 18.230,94 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| წყალის და წყალანირების ხარჯი | 203,00 | 234,50 | 668,50 | 1.106,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი | 202,00 | 202,00 | 202,00 | 606,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საწვავი (დიზელ-გენერატორი) | 0,00 | 0,00 | 121,50 | 121,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 10.298,83 | 12.619,56 | 11.556,63 | 34.475,02 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 2.124,00 | 4.130,36 | 4.676,16 | 10.930,52 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი | 0,00 | 441,00 | 490,00 | 931,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| GPS-ის მომსახურება | 415,84 | 403,01 | 773,94 | 1.592,79 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (გადაზიდვა-გადაყვანა, ტაქსის მომსახურება) | 144,72 | 0,00 | 447,96 | 592,68 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება | 220,00 | 0,00 | 60,00 | 280,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატრანსპორტო საშუალებების პარკირება | 0,00 | 320,00 | 550,00 | 870,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ავტომობილების ნომრების შეცვლის საფასური | 0,00 | 0,00 | 560,00 | 560,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სამხარაულის ბიუროს დასკვნა მაუწყებლის ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის შესახებ | 0,00 | 1.000,00 | 0,00 | 1.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შენობის დაცვა (ორბელიანის 17) | 0,00 | 1.256,70 | 2.513,40 | 3.770,10 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ადმინისტრაციული შენობის დაცვა | 11.100,00 | 0,00 | 22.200,00 | 33.300,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი | 150,00 | 250,00 | 500,00 | 900,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კანცელარიის პროგრამის მომსახურება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 248,00 | 248,00 | 496,00 | 992,00 |
| საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი) | 39,00 | 39,00 | 78,00 | 156,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკორესპოდენტო ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი | 1.350,00 | 1.350,00 | 2.700,00 | 5.400,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საქ.ტელერადიოცენტრის მიერ ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი | 0,00 | 250,00 | 500,00 | 750,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურება) | 14,00 | 14,00 | 27,50 | 55,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურება) | 126,50 | 127,00 | 124,50 | 378,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 250,00 | 0,00 | 250,00 |
| აუდიტორული მომსახურება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 300,00 | 150,00 | 150,00 | 600,00 |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)<br>- სსკ-ს 134 მუხლის 1 ნაწილის გ) ქვეპუნქტის თანახმად არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 0,00 | 8.249,70 | 26.335,11 | 34.584,81 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| "როიტერის " მომსახურება<br>- სსკ-ს 134 მუხლის 1 ნაწილის გ) ქვეპუნქტის თანახმად არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 0,00 | 31.629,87 | 0,00 | 31.629,87 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება) | 0,00 | 0,00 | 200,00 | 200,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ლაზერული პრინტერების შეძენა (2) | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.100,00 | 0,00 | 0,00 | 2.100,00 |
| თანამშრომელთა დაზღვევა | 7.732,00 | 7.704,50 | 3.029,00 | 18.465,50 | 0,00 | 0,00 | 4.648,00 | 4.648,00 |
| ავტომანქანების დაზღვევა | 0,00 | 1.006,00 | 1.006,02 | 2.012,02 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაგვრის დღგ | 0,00 | 0,00 | 10.433,70 | 10.433,70 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები და სასამართლო ბაჟი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 143,50 | 1.929,96 | 137,06 | 2.210,52 |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატი) | 0,00 | 0,00 | 1.225,00 | 1.225,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე) | 638,86 | 0,00 | 10.534,37 | 11.173,23 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ახალი ამბები** | 107.299,50 | 113.023,96 | 117.536,44 | 337.859,90 | 0,00 | 0,00 | 630,00 | 630,00 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 103.183,29 | 110.148,01 | 105.604,09 | 318.935,39 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრემია (შტატგარეშე) | 0,00 | 0,00 | 8.375,00 | 8.375,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 1.920,00 | 2.445,00 | 605,00 | 4.970,00 | 0,00 | 0,00 | 630,00 | 630,00 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 381,21 | 0,00 | 0,00 | 381,21 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საინფორმაციო მომსახურება "ახალი ამბები" | 295,00 | 0,00 | 590,00 | 885,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1.520,00 | 430,95 | 2.362,35 | 4.313,30 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მედიაწარმოება და პროდიუსინგი** | 213.886,59 | 176.712,20 | 176.683,17 | 567.281,96 | 6.236,11 | 16.751,52 | 20.994,60 | 43.982,23 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 152.853,45 | 153.249,49 | 151.357,50 | 457.460,44 | 1.150,00 | 2.530,00 | 0,00 | 3.680,00 |
| პრემია (შტატგარეშე) | 0,00 | 0,00 | 3.500,00 | 3.500,00 | 0,00 | 0,00 | 2.500,00 | 2.500,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 9.280,00 | 446,89 | 60,00 | 9.786,89 | 0,00 | 3.440,00 | 3.475,75 | 6.915,75 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 511,08 | 12.154,50 | 1.116,76 | 13.782,34 | 3.991,37 | 0,00 | 3.366,04 | 7.357,41 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 55,95 | 650,00 | 705,95 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| რადიოს ლოგოს გამოსახულების ფირნიშის შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 680,00 | 680,00 |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული  ფილმების შესყიდვა-გახმოვანება | 39.000,00 | 0,00 | 0,00 | 39.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული  ქართული ფილმების შესყიდვა | 6.000,00 | 3.600,00 | -15,00 | 9.585,00 | 0,00 | 9.750,00 | 5.100,00 | 14.850,00 |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 2.130,16 | 2.227,97 | 4.668,91 | 9.027,04 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 0,00 | 0,00 | 165,00 | 165,00 | 132,10 | 361,25 | 1.321,75 | 1.815,10 |
| სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიიის ხარჯი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 109,87 | 56,56 | 668,06 | 834,49 |
| ნამზადების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 52,77 | -79,99 | 0,00 | -27,22 |
| გარეწარმოება | 4.000,00 | 4.000,00 | 8.000,00 | 16.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ბრენდირებული საქონელი | 46,90 | 92,40 | 1.775,00 | 1.914,30 | 0,00 | 0,00 | 2.669,00 | 2.669,00 |
| პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, კოსმეტიკური საშუალებები | 65,00 | 885,00 | 0,00 | 950,00 | 0,00 | 693,70 | 1.214,00 | 1.907,70 |
| ბრენდირებული საწვიმარი ლაბადები | 0,00 | 0,00 | 4.980,00 | 4.980,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სამსახურებრივი მოწმობების (ბეიჯი) დამზადება | 0,00 | 0,00 | 425,00 | 425,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მედიაკონვერტორის დაქირავება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 800,00 | 0,00 | 0,00 | 800,00 |
| **რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა** | 35.966,59 | 35.579,42 | 72.507,98 | 144.053,99 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 35.847,30 | 35.384,42 | 47.837,73 | 119.069,45 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრემია (შტატგარეშე) | 0,00 | 0,00 | 4.125,00 | 4.125,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 119,29 | 195,00 | 645,25 | 959,54 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გარეწარმოება | 0,00 | 0,00 | 19.900,00 | 19.900,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ტექნიკური უზრუნველყოფა** | 121.474,66 | 65.295,12 | 72.888,00 | 259.657,78 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრინტერების შეძენა (7) | 0,00 | 0,00 | 10.643,60 | 10.643,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ტექნიკის რემონტი | 0,00 | 0,00 | 90,00 | 90,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) | 23.741,60 | 16.992,00 | 0,00 | 40.733,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2.637,96 | 1.116,52 | 0,00 | 3.754,48 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საქ.ტელერადიო ცენტრის ანძებზე რადიოგადამცემების მონტაჟი-დემონტაჟი | 0,00 | 19.788,60 | 0,00 | 19.788,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 0,00 | 18.700,00 | 37.400,00 | 56.100,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი | 250,00 | 250,00 | 500,00 | 1.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა | 400,00 | 400,00 | 800,00 | 1.600,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკომუნიკაციო რეკები და გამანაწილებლები | 0,00 | 0,00 | 2.800,00 | 2.800,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ვიდეოსიგნალის კონვერტორები | 3.872,00 | 0,00 | 0,00 | 3.872,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გრაფიკული სამუშაო სადგურები (ვიდეოსამონტაჟო) | 35.164,00 | 0,00 | 0,00 | 35.164,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ფოტოკამერა (1) | 0,00 | 4.248,00 | 0,00 | 4.248,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გარეგადაღებებისათვის გასაშლელი კარავი (კონსტრუქცია) | 0,00 | 2.100,00 | 0,00 | 2.100,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მიკროფონების შეძენა | 5.428,00 | 0,00 | 0,00 | 5.428,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სტუდიური რადიო მონიტორინგის სისტემის, პასიური მიმართულების ანტენის,  სამაუწყებლო საეთერო მიკროფონის, პროფესიონალური სტუდიური მიკროფონის სამაგრის შეძენა | 49.731,10 | 0,00 | 0,00 | 49.731,10 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ვიდეოთვალის კომპლექტი | 0,00 | 1.700,00 | 0,00 | 1.700,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტი | 250,00 | 0,00 | 500,00 | 750,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ვიდეოკამერების  მეხსიერების ბარათები | 0,00 | 0,00 | 14.372,40 | 14.372,40 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ციფრული სიგნალის საკონტროლო ანალიზატორი | 0,00 | 0,00 | 4.602,00 | 4.602,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კომუტაციური აპარატურა-კარადა-სასერვერო რეკი გაგრილებით | 0,00 | 0,00 | 1.180,00 | 1.180,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **სხვა გადასახდელები** | 4.878,07 | 5.497,20 | 179,75 | 10.555,02 | 1.997,56 | 0,00 | 0,00 | 1.997,56 |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 4.748,32 | 5.367,45 | 0,00 | 10.115,77 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1.997,56 | 0,00 | 0,00 | 1.997,56 |
| სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი | 0,00 | 0,00 | 50,00 | 50,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 129,75 | 129,75 | 129,75 | 389,25 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2019 წლის IV კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

| დასახელება | თანხა |
|---|---|
| შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 24.497,18 |
| შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 18.501,26 |
| შემოსავლები ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო (პირგასამტეხლო) | 14.060,61 |
| შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით | 1.400,00 |
| **სულ** | 58.459,05 |